პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 23 ნოემბერი № 273 (17013) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საიუბილეო ნელს — დამკვრელური ფინიში!

დედაქალაქის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ სახელი ჩარხების ქარხნის კოლექტივის მრავალმა წევრმა მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებებით აღნიშნა დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავი.

იმ მოწინავე მუშებს შორის, რომლებმაც წარმატებით გაანაღდეს საიუბილოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და დროს მნიშვნელოვნად გაუსწრეს, არიან საამწყობო საამქროს ზეინკლები ვახტანგ მეკოჟიშვილი და კური ქავაზიშვილი. სწორად ორგანიზებულმა შრომამ წვალობით მათ თვალსაჩინო მაჩვენებლებს მიაღწიეს, საიუბილეო წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულეს პირადი ორწლიანი გეგმა და ამჟამად პროდუქციას 1979 წლის ანგარიშში უშვებენ.

ხუთაბზე: (მარცხნიდან) მოწინავე ამწყობი ზეინკლები ვ. მეკოჟიშვილი და კ. ქავაზიშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყოველნაირად გავააქტიუროთ სამხედრო-საშეფო მუშაობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ჯარის ნაწილებისა და მშრომელთა კოლექტივების საშეფო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დონის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი საჰაერო ოლქის სარდლობასა და პოლიტგანყოფილებებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებთან, სასწავლებლებთან, მეცნიერებასა და კულტურის დაწესებულებებთან ჯარისა და საჰაერო ნაწილების საშეფო ურთიერთობის განმტკიცებლად და გარკვეული დადებითი გამოცდილება შეიძინეს ერთობლივ მუშაობაში რესპუბლიკის მშრომელთა ფართოდ ჩაბმისათვის თავდაცვითს-მასობრივ საქმიანობაში, მათი სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველომ შეიტყვეს და ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამხედრო-პატრიოტული, ინტერნაციონალური აღზრდის ეფექტიანობის ამაღლებას.

საინტერესო ფორმები და მეთოდები აქვთ დაგროვილი თავიანთ საქმიანობაში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, მთელ რიგ სხვა რაიკომებს. აქ რეგულარულად ეწყობა მეომართა შეხვედრები სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მოწინავეებთან, კომუნისტური შრომის დამკვრელებთან, პრაქტიკაში დაინერგა მშრომელთა, ახალგაზრდობის დელეგაციების სტუმრობა ჯარისა და სასაზღვრო ნაწილებში, ანალოგიური სამხედრო მოსამსახურეთა საპასუხო ვიზიტები ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლებლებში. უფრო ხშირად იწყობა გაერთიანებული თემატიკური საღამოები, მეომრებისა და ადგილობრივი ახალგაზრდობის დისპუტები, ლექტორთა გაცვლა, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, სპორტული ასპარეზობა და სხვა ღონისძიებანი.

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა უფროსლესელთა თავდაცვითი-სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკი „პატრიოტი“, რომელიც საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გაიხსნა ბათუმში.

რესპუბლიკაში შექმნილია და მოქმედებს მუსაზღვრეთა, მფრინავთა, ტანკისტთა, არტელრისტთა ნორჩი მეგობრების სამხედრო-პატრიოტული რაზმები. საინტერესო მუშაობას ეწევიან რესპუბლიკაში შექმნილი საბრძოლო დიდების 139 მუზეუმი და 500-ზე მეტი ოთახი, 91 სამხედრო-პატრიოტული გაერთიანება, მომავალი მეომრის უნივერსიტეტები.

სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ფართოდ იყენებენ ხალხთა მეგობრობის მუზეუმის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის შესაძლებლობებს, რომელთა ღონისძიებებში 1976 წელს რესპუბლიკის 55 ათასზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა.

უფრო მეჩიდრო და მტკიცე გახდა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული მეგობრობა საზღვრის გუშაგებთან და საბჭოთა არმიის მეომრებთან, ამაღლდა მეომართა კულტურული მომსახურების დონე.

თავის მხრივ, ჯარისა და სასაზღვრო ქვედანაყოფები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, უწყვენ მათ პრაქტიკულ დახმარებას სხვადასხვა სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტაში. მეომრები უშიალო მონაწილეობას იღებენ ზაქარიე თალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენაში, ხოლო წითელდროშოვანი ორტილერისტ მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლის კორსანტები — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაში; ავიატორი მეომრები წყალდიდობის დროს ადგილობრივ მოსახლეობას იხმარებოდნენ მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენაში.

პრაქტიკაში დაინერგა თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა დამკვრელურ შენებლობებზე გაგზავნა მარტო ენგურჰესის მშენებლობაზე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებიდან უკანასკნელ წლებში კომკავშირული საგზურით 400-ზე მეტი კაცი გაგზავნეს.

პარტიული ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების პოლიტორგანოების ერთობლივმა ღონისძიებებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს მიეძღვნა, ხელი შეუწყვეს ახალგაზრდობის აღზრდას პარტიის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ერთგულების სულისკვეთებით, არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცებას.

ამასთანავე, ნათქვამია დადგენილებაში, ჯარის ნაწილებისა და მშრომელთა კოლექტივების საშეფო ურთიერთობის ორგანიზაციისა და განმტკიცებისათვის მიმდინარე მუშაობაში ჯერ კიდევ არის ცალკეული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამხედრო-საშეფო საქმიანობაში არ იჩრქნება სათანადო გეგმიანობა და მიზანმიმართულება, არ არის ჯერთვანი კოორდინაცია და თანამოქმედება ჯარისა და სასაზღვრო ნაწილების პოლიტორგანოებთან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მუშაობაში. ღონისძიებებს ხშირად ეპიზოდური ხასიათი აქვთ. სრულად არ იყენებენ შესაძლებლობებს ამისათვის, რომ მოსახლეობის ფართო ფენები, კერძოდ, ახალგაზრდობა, ჩაებან თავდაცვითს-მასობრივ საქმიანობაში.

სუსტად აანალიზებენ იმ ღონისძიებათა ეფექტიანობას, რომლებსაც ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ, ჯეროვნად არ სწავლობენ და არ აზოგადებენ პირველადი პარტორგანიზაციების გამოცდილებას, არ იჩრქნება კოორდინაცია და სისტემა პარტიული ორგანიზაციების, ჯარის ნაწილების, სამხედრო კომისარიატების და ოსაყოფის კომიტეტების ერთობლივი აღმზრდელობითის მუშაობაში.

მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა საშეფო ურთიერთობის განმტკიცების საქმეში სუსტად უკავშირდება სახელმწიფო, შრომითა და საზოგადოებრივი დისციპლინის უზრუნველყოფის, სოციალისტური კანონიერების დაცვის ამოცანებს.

საკმარისად არ უწევენ პროპაგანდას საშეფო ურთიერთობის უფრო ქმედითი განვითარების აუცილებლობას იდეოლოგიური და კულტურული დაწესებულებანი, შემოქმედებითი ორგანიზაციები, საზოგადოება „ცოდნა“.

ამის გამო ერთგვარი შეუსაბამობა პარტიული კომიტეტების მიერ სამხედრო-საშეფო მუშაობის, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული ინტერნაციონალური აღზრდის დონის ამაღლების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ უზრუნველყოფას შორის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებს აღმასკომებს დაავალა ჯარისა და სასაზღვრო ნაწილების პოლიტორგანოებთან, პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სამხედრო-საშეფო მუშაობის მდგომარეობის შესწავლისა და ღრმა ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც განსაზღვრავენ სამხედრო და კულტურულ-საშეფო ურთიერთობის სრულყოფის გზებს, ფორმებსა და მეთოდებს, ითვალისწინებენ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაძლიერებას, რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებასა და გაიქიორებას თავდაცვითს-მასობრივ საქმიანობაში.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უნდა ამაღლდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პერსონალური პასუხისმგებლობა კოლექტივებში სამხედრო-საშეფო, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისათვის.

საჭიროა მთლიანად აღმოიფხვრას ფორმალიზმისა და ეპმპანიურობის ელემენტები სამხედრო-საშეფო და კულტურულ-საშეფო მუშაობაში, უფრო აქტიურად ინერგებოდეს პრაქტიკაში ჯრმეკადიან ხელშეკრულებათა დადება, უფრო ფართოდ გამოიყენებოდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი შესაძლებლობანი, ამაღლდეს განსახორციელებელ ღონისძიებათა ქმედითობა, მიენიჭოთ მათ გეგმიანი სისტემატური ხასიათი.

ყოველმხრივ უნდა განმტკიცდეს და გაუმჯობესდეს საწარმოო კოლექტივების საშეფო ურთიერთობა ჯარისა და სასაზღვრო ნაწილებთან, დაიხვეწოს ამ მუშაობის პრაქტიკულად გამოსადეგი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ მეომართა პროფესიულ ორიენტაციას. უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდის ეფექტიანობა, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა იმ პატრიოტული თაოსნობის ფართოდ გავრცელება, რომლებიც თავიანთი გარკვეული განპატიკიცებენ სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაევალათ მეტი ყურადღება დაუთმონ სამხედრო-საშეფო და კულტურულ-საშეფო მუშაობის საკითხებს; განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებთან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, ჯარისა და სასაზღვრო ნაწილებთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლებლებთან საშეფო ურთიერთობის გასაფართოებლად, უზრუნველყონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მაქსიმალური ჩაბმა თავდაცვითს-მასობრივ საქმიანობაში.

დადგენილება შეიცავს მთელ რიგ სხვა კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სამხედრო-საშეფო მუშაობის ყოველმხრივ გააქტიურებას. (საინფორმი).

საერთაშორისო შეხვედრის „ოქტომბრისა და ახალგაზრდობის“ მონაწილეებს

ძვირფასნო მეგობრებო!

გულითადად მოგესალმებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს.

დიდი ოქტომბრის შემდეგ მსოფლიოში დაიწყო ახალი ერა—ყველა ფორმის სოციალური დაეროვნული ჩაგვრისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ერა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამ ძირეულმა შემობრუნებამ, რომელიც მოხდა დიდი ლენინისა და მის მიერ შექმნილი ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით, უდიდესი პოზიტიური ზემოქმედება მოახდინა ყველა მომდევნო ათეულ ათასი ცხოვრებაზე, მისი გავლენა იგრძნობა უკლებლივ ყველა ქვეყანასა და კონტინენტზე.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ლენინის მიერ გაკაფული გზით მიდის, თავისუფლებასა და სამართლიანობაზე კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეთა ოცნება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესანიშნავ რეალობად აქცია. ამ გზაზე მიღწეული წარმატებანი და ახალი ღონისძიებანი, რომლებსაც ჩვენი ხალხი ახორციელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური წყობილებისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების უზრუნველყოფად, საბჭოთა ხალხის მნიშვნელოვანი წვლილია კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის პროგრესული ძალების ბრძოლაში.

უფრის თაობებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობაც მონაწილეობს. პარტია და სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ ყველა იმ საჭირო პირობის შექმნისათვის, რომ საბჭოთა ახალგაზრდობამ შეძლოს პარმონიულად შეახამოს სწავლა, შემოქმედებითი შრომა და საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, ფართოდ ეზიაროს კულტურულ და სულიერ ღირებულებებს, რაც განსაკუთრებულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის ისტორიულ მონაპოვრებს.

საბჭოეთის ახსენობის პირველივე დღეებიდან ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების ერთგული ჩვენი ხალხი უიცველად იღებს მშვიდობისათვის, გამოლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, მტკიცედ უჭერს მხარს აფრიკელ ხალხებს წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრესიისა და რეაქციის ძალების ხრიკების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს.

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტები, დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ დიდი ოქტომბრის იდეები შთაბეჭდილებს მთელი მსოფლიოს რევოლუციურ და დემოკრატიულ ახალგაზრდობას, რომელიც მშრომელთა ფართო მასებთან ერთად ენერგიულად ებრძვის ექსპლოატაციისა და მონობისოლიების ძალაუფლების წინააღმდეგ. დემოკრატიისათვის ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი განვითარების, ქვეყნად მტკიცე მშვიდობის გამარჯვებისათვის.

თქვენი სახით, ძვირფასო მეგობრებო, მოვესალმებით მილიონობითი ახალგაზრდა მებრძოლს, რომლებიც მზად არიან მთელი რევოლუციური მებრძოლობა და ახალგაზრდული ენერგია მოახმარონ ქვეყნად მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის იდეალების სრული გამარჯვების საქმეს.

დღე თქვენმა შეხვედრამ, რომელიც მიმდინარეობს რევოლუციის აკვანში — გმირ ქალაქ ლენინგრადში, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ახალგაზრდა მებრძოლთა მეგობრობის, ურთიერთგაგების და თანამშრომლობის განმტკიცებას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, ხელი შეუწყოს ამ დიადი და შესანიშნავი მიზნების განხორციელების საქმეს.

ლ. ბრეჟნევი

დიდი ოქტომბერი და ახალგაზრდობა

ლენინგრადი, 22 ნოემბერი. (საკადესის კორ.). მსოფლიოს ახზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლები მონაწილეობენ საერთაშორისო შეხვედრაში „ოქტომბერი და ახალგაზრდობა“, რომელიც დღეს გაიხსნა თავრიზის სასახლეში.

ქალაქელები და ჭაბუკები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას შეხვედრის მონაწილეებისადმი, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა.

დღესვე შეხვედრის ფარგლებში მუშაობა დაიწყო კონფერენციამ „ოქტომბერი, თანამედროვე მსოფლიო და ახალგაზრდობა“. პლენარულ სხდომაზე მოხსენებები — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი გავლენა ახალგაზრდობის ისტორიულ ბედზე“, „კომკავშირი — პარტიის ერთგული თანაშემწე სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში“ — გააკეთეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. ზაგლადინმა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ბიუროს, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სამდივნოს წარმომადგენლები.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი

ბოსტონი, 22 ნოემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). აქ ჩამოვიდა რესპუბლიკების და ოლქების საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი. დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის მიწვევით.

ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთის ამ უდიდეს სამრეწველო ცენტრში დელეგაცია შეხვდა ქალაქის ხელისუფალთა, საქმიანი წრეების, ქალაქის მეცნიერული და სხვა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრის დროს დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რომლებიც კომუნისტურ მშენებლობაშია მიღწეული საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე, გააკრიტიკეს ბოსტონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალეროვანი ოჯახის ცხოვრება.

შეხვედრაზე გამოსვლისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში რესპუბლიკის მიღწევებზე. მან საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებმა, დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტურ მშენებლობაში, სამეურნეო, მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხალხი ყოველნაირად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, სოციალისტური რევოლუციისა და ეროვნული განთავისუფლების ბრძოლის ერთიანობის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ზრდას, ეროვნული კულტურის აყვავებას, ეროვნული კადრების ფართოდ ჩაბმას ეროვნული მშენებლობის ყველა სფეროში.

ბ. ნ. პასტუხოვმა, ალ. ბ. ბეგიჩევმა, ალ. ნ. ტიხონოვმა, ალ. ნ. ბელოუსოვმა, ალ. ნ. ბაბაევსკიმ, ალ. ნ. ბაბაევმა, ალ. ნ. ბაბაევმა, ალ. ნ. ბაბაევმა

დიდი საქმე

საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პლენუმზე განსახილველი საკითხი მეტად აქტუალური იყო: „მესტიის რაიონის თემებზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების მიხედვით ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მდგომარეობისა და შემდგომში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პლენუმის მომზადებას. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში იყვნენ სპეციალისტები, პარტიული მუშაკები. ძირფესვიანად შეისწავლეს ყველა მეურნეობის შესაძლებლობანი. დღემდე გამოუყენებელი რეზერვები. მთელი ეს მოსაზმადებელი საქმიანობა წარიმართა როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმისა და უკანასკნელი პლენუმების დადგენილებებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესრულების ნიშნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია, მინისტრის პირველი მოადგილის გ. ყიფიანის ხელმძღვანელობით წლეულსვე დიდხანს სწავლობდა რაიონში არსებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის პერსპექტივებს. კოლეგიამ დაამუშავა უახლოესი 1978-1981 წლებისათვის სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, არსებულ შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციისა და მცირე მექანიზაციის საკითხები.

პლენუმზე როგორც მომხსენებელმა — პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ხარიძემ, ისე მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჯეროვანი შეფასება არ ეძლეოდა მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკის განვითარების საკითხებს, სულს ღაფავდნენ სუსტძალოვანი კოლმეურნეობები, მოსახლეობა ტოვებდა მთებს. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო შორეული და მაღალმთიანი მესტიის რაიონი. ამ მდგომარეობის ბოლო წლებში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

ზემდგომი ორგანოების 1974 წლის 13 აგვისტოს დადგენილება გახდა იმის საყოველთაო ბერკეტი, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფაში განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი გარდაქმნები, სუსტძალოვანი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები. ამ ღონისძიებებით რაიონს ჩამოეწერა სხვადასხვა დროს აღებული სესხები და შრომის ანაზღაურების დავალება 2,5 მილიონი მანეთის ოდენობით. დადგენილების განხორციელების შედეგად სავნეთში გაიყვანეს ელექტროქსელი, აკიაფდა ცისფერი ეკრანი, დამთავრდა ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზა, აშენდა ახალი სასტუმრო, კინოთეატრი, კეთილმოწყობილი სასკოლო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სხვა დანიშნულებათა შენობები. კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა კვლავ გაცხოველებით მიმდინარეობს.

მთავარი მიმართულება, რაც პლენუმის მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა, იყო ახალი, ოპტიმალური გზებიზა და საშუალებების გამონახვის, შინაგანი რესურსების გამოძებნისა და ამოქმედების აუცილებლობა, რამაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის ზრუნვის, ყოველღიერი გარჯის შედეგად რაიონის შრომელებმა მიმდინარე წლის 10 თვეში თითო საფურაე ძროხიდან 958 კილოგრამი რძე მიიღეს. 1973 წელს კი მიღებული ჰქონდათ 561 კილოგრამი. თუ 1973 წელს 100 ძროხაზე 58 ხბო მიიღეს, შარშან მიიღეს 89 სული, წლეულს 10 თვეში — 92 სული.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, — აღინიშნა პლენუმზე, — ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პლენუმზე ითქვა, რომ რაიონში კვლავ ჩამორჩენა ჯიმთსანაშენო საქმე. მართალია საბჭოთა მეურნეობებში შემოიყვანეს მაღალწარმოებლური ბუღუები. მაგრამ საბჭოთა მეურნეობების დირექციები, პარტიული ორგანიზაციები და ზოოფეტსპეციალისტები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მათს მოვლა-პატრონობას. ამიტომ ისინი ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან.

რაიონის მეურნეობათა უმრავლესობაში სუსტად არის განვითარებული შიდასამეურნეო სასოფლეკეთი მუშაობა, არ ხდება თანხრიდან საუკეთესო ინდივიდების გამორჩევა.

არასაკმარისია ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის ხელმძღვანელობა და მომთხოვნელობა ვეტსპეციალისტებისადმი, რის გამოც მეცხოველეობის ფერმებში ვეტერინარულ ღონისძიებათა ეფექტიანობა კვლავ ჩამორჩენილია, რაც იმის შედეგია, რომ რაიონში აკლიათ ამ დარგის სპეციალისტები. არც ერთ ვეტუბნის ტრანსპორტი არა აქვს, რომ ნორმალურად მოემსახუროს ზონის მეურნეობებს. რაიონის ვეტლაბორატორია და ვეტაფთიაქი ბინის უქონლობის გამო შესახლებულია ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის შენობაში. აღნიშნული შენობაც ავარიულია. ამ მეტად მტკივნეული საკითხების გადაწყვეტა გათვალისწინებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

მეცხოველეობის დარგის რენტაბელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში შრომითი დანახარჯების შემცირებას, რის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი შრომატევადი პროცესების მექანიზაციაა. მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, მეცხოველეობის ფერმებში მარტივი ტიპის ნაკელგასატანი კიდული ბუნების გარდა, არც ერთი სამუშაო პროცესი მექანიზებული არ არის, რადგანაც ფერმების შენობების 80 პროცენტი 1950-1951 წლებშია აშენებული და მათში მექანიზაციის მოწყობის საშუალება არ არის.

საქმიანი მსჯელობა გაიმართა მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკვები ბაზის განმტკიცებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, პირუტყვის უზრუნველყოფას მრავალფეროვანი საკვებით. პლენუმის შემდგომ პერიოდში საძოვრების ქვებისაგან გაწმენდის, შემოკავებისა და მორწყვის გზით დღემდე ათვისებულია 300 ჰექტარი ახალი ფართობი სათიბ-საძოვარი. აღდგენილია სარწყავი სისტემები მესტიის საბჭოთა მეურნეობაში. აშენდა ახალი სარწყავი არხი ბეჩოს საბჭოთა მეურნეობის ცხუმარის აგროგანყოფილებაში. მეტი ყურადღება მიექცა ე. წ. პრიმიტიული სარწყავი არხების გამოყენებას, რითაც აძლევამად რაიონში ირწყვება 1.049 ჰექტარი სათიბი. წლეულს დამთავრდება ხალდეს მთაზე მიმავალი საავტომობილო გზის მშენებლობა, რითაც მეცხოველეობის სამსახურში ჩადგება 2 ათასი ჰექტარი სათიბ-საძოვარი. დაწყებულია და მომავალი წლიდან განახლდება უსაგვირის მთაზე მიმავალი გზის მშენებლობა, შედგენილია იფარის საბჭოთა მეურნეობის წულარის მთაზე სამაგირო გზის პროექტი, რომლის მშენებლობა მომავალი წელს დაიწყება.

იმის გამო, რომ რაიონში მეცხოველეობის საკვები თითქმის ერთფეროვანი იყო და იგი მხოლოდ თივას და მცირე ოდენობით კომბინირებულ საკვებს შეიცავდა, რაიონის ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება მიაქცია სენაჟის დამზადებას, რათა პირუტყვის საკვები ნაწილობრივ გამდიდრდა ცილოვანი ნივთიერებებით.

ჩამოთვლილი და სხვა ღონისძიებების განხორციელების შედეგად, აღნიშნავდნენ სიტყვებით გამოსული ამხანაგები, კვეთრად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზა, იგი გიაზარდა რაოდენობრივად და ყუთითანობითაც. თუ 1973 წელს რაიონში დამზადდა 7.636 ტონა თივა და პირუტყვს ზამთარში საკვებად ჰქონდა ძირითადად თივა 8,5 საკვები ერთეული, თითქმის იმავე ფართობებზე წლეულს დამზადებულია 13.904 ტონა თივა, ე. ი. 6.268 ტონით მეტი, — 173 ტონა ძირხვენები, 310 ტონა საფურაე კარტოფილი, 1.361 ტონა სენაჟი, მომარაგებულია 900 ტონა კომბინირებული საკვები, საზოგადოებრივი პირუტყვის თითო სულზე დაგროვილია 14,5 საკვები ერთეული. მაგრამ ესეც საკმარისი არ არის. იგი უნდა გაიზარდოს 16 საკვებ ერთეულამდე.

როდესაც რაიონში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებს ვსახავთ, — აღნიშნავდნენ ორატორები, — მთავარი მნიშვნელობა მთის სათიბ-საძოვრებზე გზების გაყვანას ენიჭება. მაგრამ ამ მიმართულებით დღემდე არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება მთის სათიბ-საძოვრების ათვისების მიზნით საავტომობილო და საბაგირო გზების გაყვანის შესახებ. 1976-1980 წლებში 45-50 კილომეტრი საავტომობილო და 10-12 კილომეტრი საბაგირო გზებიდან დაპროექტებულია მხოლოდ 24 კილომეტრი საავტომობილო და 1,5 კილომეტრი საბაგირო გზა.

პლენუმის მონაწილენი მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ 1978 წლიდან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით მოხდება ხორცის წარმოების სპეციალიზაცია. ამასთან იმ მეურნეობებს, სადაც ეს ღონისძიება გატარდება, შეუმცირდებათ რძის წარმოებისა და დამზადების გეგმები. სანაშენე მეურნეობის უკეთ განვითარებისათვის შემოყვანილი იქნება ყოველწლიურად 400 სული მეხორცული მამაროსელების ჯიშიანი დეკეული.

მსჯელობენ რეაქნი პირუტყვის განვითარებასთან ერთად დაისახა ღონისძიება მეთხეობის მეურნეობის შესაქმნელად. საქმე ის არის, რომ ალპურ და სუბალპურ იალაღებზე ბევრი გამოუყენებელი მთის ფერდობებია აუთვისებელი, სადაც მსხვილფეხა პირუტყვი ვერ აღის. გადაწყდა ზედა ზონის მეურნეობებში შემოყვანილ იქნას 1.000 სული თხა და შემდგომ მოეწყოს მისი მეურნეობები.

ისიც ითქვა, რომ რაიონში შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია მეფუტკრეობის განვითარებისათვის, რომელიც ამ მხარის უძველესი დარგია. მაგრამ წლების განმავლობაში უყურადღებობამ იგი გადაშენების გზაზე დააყენა. არის შესაძლებლობა შეიქმნას მეფუტკრეობის - მსხვილი სამეურნეობათაშორისო გაერთიანება.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც კონკრეტულად არის გაანალიზებული სამთო მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ოფიციალური განცხადება

კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფისათვის

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის სისტემატური ამაღლება და გაღრმავება, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების საქმიანი თვისებების სრულყოფა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს კომუნისტური მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიური განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლების ის ამოცანები, რომლებიც არნახული მასშტაბით დასახა სკკპ XXV ყრილობამ.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან გადაუდებელ ღონისძიებებს მიმართონ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტების, ფაკულტეტებისა და კურსების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კადრებთან მუშაობის შესახებ სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ამოცანის ყველაზე სრულ გადაწყვეტას, უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ხელმძღვანელი მუშაკების რეზერვის მომზადება, აგრეთვე კადრების ჯადამზადება ახალი ასამუშავებელი საწარმოებისა და წარმოებებისათვის.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტების, ფაკულტეტებისა და კურსების მეცადინეობა მიზნად უნდა ისახავდეს სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას, იმას, რომ მსმენელებმა ღრმად შეისწავლონ სკკპ ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დოკუმენტები, სსრ კავშირის კონსტიტუცია, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომები. მსმენელები უნდა შეიაღარონ სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის, კონუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის, მუშაობის ლენინური სტილის, წარმოების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების ცოდნით.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალისტური მეურნეობრიობის პრაქტიკასთან სასწავლო პროცესის კავშირის განმტკიცებას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებისა და დამზადებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მოწინავე გამოცდილების შესწავლას.

კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფისა და ამ დარგში მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეიქმნას სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება მიეცა გაუმჯობესდეს მეთოდიკური ხელმძღვანელობა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებისადმი, ფაკულტეტებისა და კურსებისადმი.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად 1978 წლიდან მოყოლებული წლიური და ხუთწლიანი გეგმებით უნდა გაითვალისწინონ ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების, მათ შორის ხამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატის იმ თანამშრომელთა რაოდენობისა და შემადგენლობის დავალებანი, რომლებიც იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად, დაადგინონ ერთიანი წესი, რომლის თანახმადაც სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები კვალიფიკაციას აიმაღლებენ სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი სრულყოფის, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტების, ფაკულტეტების, კურსების მუშაობის გაუმჯობესების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით გათვალისწინებულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

სტიქიისაგან საიმედო დაცვა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და ლენინგრადის აღმასკომის წინადადება, რომ დაჩქარდეს ქალაქ ლენინგრადის წყალდიდობისაგან დამცავ ნაგებობათა დაპროექტება და მშენებლობის ორგანიზაცია და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე. დადგენილების შესაბამისად 1978 წელს შემუშავდება. ამ დამცავ ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო 1979 წელს დაიწყება მოედანგარეთა ნაგებობებისა და კომუნიკაციების, საწარმოო ბაზის ობიექტების, კარიერების, მისასვლელი გზებისა და ნავმისადგომების მშენებლობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისათვის გათვალისწინოს მოცულობის საპროექტო-საძიებო სამუშაოები, კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. (საკლი).

ამიერკავკასიის მეომართა შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შეკრება

თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლში გამართა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრების შეკრება.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა პ. მელნიკოვმა.

ამიერკავკასიის მეომართა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებისა და ახალი სასწავლო წლისათვის ოლქის მეომრების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიტსამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ოვერჩუკმა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც მოუწოდებენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წითელ მეომარ შემადგენლობას ქვეყნის სახელოვანი შეიარაღებული ძალების 60 წლისთავი და სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა ახალი წარმატებებით აღნიშნონ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

(საქინფორმი).

ახალი კონსტიტუციის განმარტების მიზნით

ბიათუარა. (საკ. კორ.). ამას წინათ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის უკეთ განმარტების მიზნით მანგასლუის ქალაქის სახალხოებსა და სკოლებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აგიტმხატვრული რიგადი ეწვია.

საინტერესო შეხვედრები მოეწყო დამიტროვის სახელობის მაჰაროს, შერძეევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, ავტოტრანსპორტო საწარმოს, სამკეალო ფაბრიკის კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან.

ხარისხის ხუთწლედს — საუკეთესო ჯროდუქცია

მთავარი საგზრუნავი

გამოფენილი პროდუქციის ხარისხის შემდგომი სრულყოფა ჩვენთვის, მსუბუქი მრეწველობის მუშაკებისათვის, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელთათვის, მთავარ საზრუნავს წარმოადგენს.

სწორედ დაკისრებული ნაშრომისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით იყო ნაკარნახევი სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, რომელიც ჩვენმა ბრიგადამ ახალი ხუთწლედის დამდეგს წამოიწყო დევიზით — „მივცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ნაწარმი“. მას ვიერთიანებთ მთელი კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა. ამ მოწოდებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლის ზრდის საქმეში.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში დღის ყველა კარგად იცნობს ჩვენი ბრიგადის წევრების მოწინავე მრავალდაზგოსან მქსოველებს ასმაი წამალაშვილს, სედა ქართველიშვილს, ანასტასია ხელოსნაშვილს, როზა სანიკიძეს, ჯულიეტა თავაძეს, რიტა ხმიადაშვილს და ანასტასია ბიჭიკაშვილს. ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში ისინი ყოველთვის თვალსაჩინო მაჩვენებლებს აღწევენ. მაგალითად, ა. წამალაშვილმა არა მარტო ბრიგადაში, არამედ მთელ წარმოებაში საჩინო მაჩვენებელი მიაღწია. განვლილ ათ თვეში მის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქციის (ხამი აბრეშუმის ქსოვილი) 95 პროცენტი მხოლოდ პირველი ხარისხისა იყო, ეს მაშინ, როცა გეგმური მაჩვენებელი 59,2 პროცენტია. ბრიგადაში დღეისათვის გამოშვებული პროდუქციის ხარისხის „უფალაზე დაბალი“ მაჩვენებელი 90,5 პროცენტია.

მქსოველთა თანდადებულმა შრომამ, ყოველდღიურ გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებამ და, რაც მთავარია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის სისტემატურად ჯეიმჯობესებამ ბრიგადას შესაძლებლობა მისცა ათ თვეში გამოშვებული 180 ათასი 800 მეტრიდან სამშობლოსათვის 154 ათას 200 მეტრი პირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის ქსოვილი მიგვეცა და გეგმისათვის 18 ათასი მეტრით გადაგვეჭარბებინა. ამ მხრივ მუშაობა ორე ნოემბერში შეგვისუსტებია.

ბრიგადის მიერ მოპოვებული კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ბევრად განაპირობა ფერეთი მანქანა-დანადგარების მოცდენის მინიმუმამდე დაყვანამ. ნაწარმის ზეგეგმითი პროდუქციის 90 პროცენტი სწორედ მანქანა-დანადგარების მოცდენების შემცირების ხარჯზე იქნა დამზადებული. ჩვენს წარმატებებს დიდად შეიწყო ხელი ავრეთვე მეექვსე ბრიგადის „ბ“ ავლის წევრებთან რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივის მიხედვით ურთიერთ შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლამ.

მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის დამთავრებამდე არც თუ ისე დიდი დრო დარჩა. გვინდა უფრო მეტი ახალი შრომითი საჩუქრებით ვახახელოთ მშობლიური სამშობლო.

შ. ოდიშელიძე,

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს საქსოვი ნაამჭროს ქვეოსტატი.

წალკური კარტოფილი

ხდება ხოლმე, რომ ამბობენ „ეთხესა თუ ადგილს და მაშინვე იქაური რამ მოვაგონდება. და აი, როცა სიტყვა წალკაზე ჩამოვარდება, უმალვე „კარტოფილი ვიგახსენებთ, წალკური კარტოფილი, მეშტისოდენი, გემრიელი და მსუყე, ერთ წამოდგომებაზე რომ ჩაიშლება და ბატიბუტიანად ადგაპეპენტება. წალკას განსაკუთრებით ხშირ-ხშირად ახსენებენ შემოდგომით, როდეს თრიალეთიდან დედაქალაქისაკენ მომავალი ყველა გზა სავსეა კარტოფილით დატვირთული ავტომობილების ქარავნებით. მოდის და მოდის წალკური კარტოფილი. თუ ბოლნისი და მარნეული საადრეო კარტოფილს მოყვანაში ტოლს არ უდებენ ერთმანეთს, ახლა ჯერი წალკელებზე მიდგება. ისინი კი საგვიანო კარტოფილის მოყვანასა და ჩაბარებაში პირველობას ძნელად უთმობენ ერთმანეთს.

სასახელოდ იშრომეს წლეულს წალკის რაიონის მშრომელებმა და კარტოფილის უხვ მოსავალსაც იღებენ. ჰექტარზე საშუალოდ 130 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანეს.

რით მიაღწიეთ ასეთ მოსავლიანობახო, რომ ვკითხეთ, აბ, რა გვიპასუხა საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. სკაჩკოვმა:

— დიდმოსავლიანობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. გადამწყვეტი კი თესლია. კარგი თესლი კარგი მოსავლის საწინდარია. 12.600 ტონა საკარტოფილე თესლი საგულდაგულოდ შეეარჩიეთ. დავამუშავეთ და საიმედოდ შეეინახეთ საგანგებულად. დროულად შეეგაკეთოთ და „საბრძოლოდ“ გავამზადეთ ტიენაკი. დადგა თუ არა მომენტი, 100-ზე მეტი კარტოფილსარგავი მანქანა გავიდა მინდვრად და სრული დატვირთვით მუშაობდა.

უხვი მოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა მინდორში კარტოფილის ბუდნების ოპტიმალური სიხშირით გაწლაგებაა. შარშან ჰექტარზე 30-35 ათასი ძირი გვქონდა დარგული, წლეულ 40-45 ათასამდე ავიყვანეთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოპტიმალურ ვადებში კარტოფილის დარგვა. ამაში ერთხელ კიდევ ნათლად დავრწმუნდით შარშან, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მოწინავე, ბელორუსელ მეკარტოფილეთა გამოცდილებასა და მეცნიერ სპეციალისტთა რეკომენდაციებს გავიცანეთ.

ჩვენი რაიონისათვის თესვის ოპტიმალური ვადა აპრილია. (შარშან გამუდმებული წვიმების გამო თესვა ზოგან ივნისამდე გაგვიგრძელდა) ამ

ᲬᲚᲔᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ-ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

□

წლეულს ჩვენც ძირითადად აპრილში მოვრჩით ამ საქმეს.

მოსავალს დიდ ზეიას აყენებენ სარეველები და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად წლეულს კარგად ვიყავით მომზადებული პრეპარატ პრომეტრინით, დროზე და საჭირო რაოდენობით შევიტანეთ ნიადაგში მინერალური სასუქები.

კარტოფილს არანაკლებ აზიანებს ფიტოფტორა — დაავადება, რომელიც ლრუბლიან ამინდში ძლიერი ლორთქლების დროს ჩნდება და მცენარის ფოთოლსა და ღეროს სპობს. ამ დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად შემოვიტანეთ ცინებისა და შაბიამნის ხსნარის შესაფრქვევი აგრეგატები. აქამდე ამაში ავიკიცი გვიწევდა სამსაზურს, მაგრამ ჩვენი რელიეფის პირობებისათვის იგი ნაკლებ სამკურნალო და ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა. ძირი ჯდებოდა. თუ თვითმფრინავებით ერთ ჰექტარის დამუშავებაზე 3 მანეთი და 50 კაპიკი იხარჯებოდა, ამ აგრეგატებით 0,8-1 მანეთი ჯდება.

ივლის-აგვისტოში დღე-დაღამ შეუფერხებლად მუშაობდა ყველა სარწყავი სისტემა. უნარიანად ვიყენებდით მცირე მელიორაციას, ადრე შექმნილ წყალსატევებს.

რაიონს წლეულს გეგმა-ვალდებულებით 21.000 ტონა კარტოფილი უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის. დავალება პირნათლად არის შესრულებული. სოფლის შრომელებმა და მექანიზატორებმა ეს ციფრი 21.700 ტონამდე გაზარდეს. ახალ ვალდებულებასაც ამ დღეებში გადაჭარბებით გავანაღდებთ. სულ ცოტა 22 ათას ტონა კარტოფილს ჩავაბარებთ. საშუალო მოსავალი ჰექტარზე 130 ცენტნერი კარტოფილია (შარშან 95 ცენტნერი იყო). წლევანდელი საშუალო მაჩვენებელი, რომელიც მოსავლის აღების პირველ დღეებში 138 ცენტნერი იყო, უფრო მაღალი იქნებოდა, რომ ჯერ სიტყვის, ხოლო შემდეგ იმ დროისათვის მოულოდნელსა და უჩვეულო ყინვის, რომელიც 10-15 გრადუსს აღწევდა და 18 ოქტომბრიდან ხუთ-ექვს დღეს გაგრძელდა, არ დაეზიანებინა ჭირნახული. მაგრამ ბუნების ჭირვეულობას რაიონის მშრომელებმა დიდი ორგანიზებულობა, ადამიანთა რესურსებისა და ტექნიკის მაქსიმალური მობილიზაციი დაუპირისპირეს და დატოვეს ველზე ერთ ტონაზე ნაკლები.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ!

მთავრდება რთველი

დასავლეთ საქართველოში მთავრდება რთველი. წელს მთელი რიგი რაიონების მეურნეობებმა მაქსიმალური რაოდენობის ყურძენი მოკრიფეს და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს დავალებანი.

დასავლეთ საქართველოში 21 ნოემბრისათვის სულ დამზადებული იყო 117.252 ტონა ყურძენი, რაც გეგმის 103,2 პროცენტს შეადგენს.

„სამტრესტის“ მონაცემებით, 21 ნოემბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია ყურძენი (ტონობით):

რაიონები	დამზადებული	გეგმის შესრულება პროცენტი
ორჯონიკიძის	5.131	102,6
ზესტაფონის	25.353	120,6
თერჯოლის	23.313	133,2
საჩხერის	5.512	100,3
ქ. ჰიათურის ზონა	1.808	106,4
სამტრედიის	1.311	77,1
ქ. წყალტუბოს ზონა	2.756	83,5
წულუკიძის	736	111,5
ქ. ტყიბულის ზონა	398	113,7
მაიაკოვსკის	15.235	105
ვანის	13.012	86,2
ჩოხატაურის	2.410	100,4
მახარაძის	441	88,2
ლანჩხუთის	120	148,8
გეგეჭკორის	1.770	104,1
ცხაკაიას	1.023	102,3
ჩხოროწყუს	756	100,1
ზუგდიდის	1.072	56,4
წალენჯიხის	454	45
ამბროლაურის	3.230	105,8
ონის	263	75,1
ცაგერის	4.551	112,8
აფხაზეთის ასსრ	5.073	57,6
აჭარის ასსრ	1.514	94,6
სულ რესპუბლიკაში	407.334	89,5 (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲬᲔᲠᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲐᲮᲐᲠᲝᲗ!

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ, ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ.

**საქართველოს კპ ცენტრალური

საქართველოს
ტელეტაიპი
გადმოგვცემს

მსოფლიოს ამბები

არაბთა სოლიდარობას საფრთხე შეექმნა

შვიპტის პრეზიდენტი სადათი ისრაელში ვიზიტის დამთავრების შემდეგ კაიროში უსაფრთხოების უმაღლესის ღონისძიებათა პირობებში დაბრუნდა.

ორუსალიმში გამოქვეყნდა ორმხრივი კომუნიკე ეგვიპტე-ისრაელის შესვლების შედეგების შესახებ. კომუნიკეში არაფერია ნათქვამი ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საერთო კონფერენციის მუშაობის განახლების პრობლემაზე, ნახსენებია კი რომ არის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, სამაგიეროდ ბევრი ლაპარაკია ორმხრივი კონტაქტების განერძობაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ისრაელ-ეგვიპტის სეპარატულ მოლაპარაკებაზე ისეთ პირობებში, როდა ბრძოლდება არაბული ტერიტორიების ოკუპაცია.

როგორც ისრაელის პრესა იუწყება, სადათისა და ბეგინის გამოსვლა ჯნესეტში (პარლამენტში) უმთავრესად მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის ჯულის მოგებას, მაშინ როდესაც საკითხებს არსებითად განიხილავდნენ ისრაელ-ეგვიპტის ორმხრივ კონფიდენციალურ მოლაპარაკებაზე. ეს სადათსა და ბეგინს შორის გამართა მოლაპარაკების ხამი ტური. ისრაელის პრესა თავის გამონათქვამებში არც მალავს, რომ ეს მოლაპარაკება, ისევე როგორც თვით შეხვედრა, ისრაელმა შეიძლება გამოიყენოს მნიშვნელოვანად ინ მიზნით, რომ დააბრკოლოს ჟენევის კონფერენციის საშუალისი, მიანიჭოს მას მეორეოდ „ფორმალური ხასიათი“ და ამით შენიღბოს ორუსალიმში მიმდინარე ხეპარატული მოლაპარაკება და უშუალო კონტაქტები.

როგორც ლონდონის „ტაიმსი“ აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სადათმა „მეგობრული გრძნობები“ გამოთქვა ისრაელის მიმართ, „ამის ნაცვლად მას არავითარი არსებითი შეღავათი არ შესთავაზეს“. „სადათმა ბევრი რამ დათმო და ძალზე ეიტა რამ მიიღო“, — კვერს უკრავს მას ფრანგული „ეკო“. გაზეთი „ბატრინი“ აღნიშნავს, რომ ეგვიპტის პრეზიდენტს ახლა მოელის „საშინი პაუზა“, რომლის დროსაც უნდა აუხსნას თავის ერსა და მთელ არაბულ საზოგადოებრივ აზრს ისრაელში გამგზავრების შედეგები. ეს კი, „ბატრინის“ თქმით, „ოღი ამოცანა როდია“, რადგან ეგვიპტის პრეზიდენტი დღეს აშკარად მარტოდმარტოდ დარჩა“.

„ფიგარო“ წერს, რომ მთელი არაბული სამყარო კიცხავს სადათს. გაზეთის აზრით, ეს უწინარეს ყოვლისა იმასთან არის დაკავშირებული, რომ ეგვიპტის პრეზიდენტმა ორუსალიმში ვოიაჟით ფფიციალურად ცნო ისრაელი და სამაგიეროდ ვერაფერი მიიღო.

სადათის ხეპარატული მოქმედება არაბულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელობის მკაცრ კრიტიკას იწვევს.

ხირიის პრეზიდენტთან ჰ. ასადთან ტელეფონით საუბრისას ალჟირის პრეზიდენტმა ჰ. ბუმედიენმა სადათის საუბრობას ისრაელში უწოდა „საქციელი, რომელიც ლაჩრის ვერავინ ჩაჩოლი ვერ ეტევა“. ჰ. ბუმედიენმა დაადასტურა, რომ ალჟირი სრულიანდ უჭერს მხარს ხირიის პოზიციას. ალჟირის მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ სადათის ვიზიტი ისრაელში არაბთა ერთიანობის ფაქტორია, რომელიც მხოლოდ არაბული სამყაროს მტრებს აძლევს ხელს.

ის ამბავი, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი ირუსალიმში იახლა მოსალაპარაკებლად ისრაელის ხელმძღვანელებს, შიაანს აყენებს პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლებების აღდგენის პრობლემის გადაჭრას და არაბთა სოლიდარობას, ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც აქ გამოაქვეყნა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ნაწილობრივ შეთანხმებათა პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა. ისრაელი სულაც არ აპირებს უარი თქვას თავის აგრესიულ მისწრაფებებზე და ამიტომ ყოველად გაუმართლებელია ცალკეული არაბული ქვეყნების მიერ რაიმე დათმობა. განცხადებაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული იემენის ხალხი პალესტინელ ხალხთან და არაბული ქვეყნების პროგრესულ საზოგადოებრივობასთან ერთად გმობს პოზიციას, რომელიც პრეზიდენტმა სადათმა დაიკავა.

ისრაელში ეგვიპტის პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაბიბ შატიმ გაკვეთა შემდეგი განცხადება: „პირდაპირ გოიცებული ვართ, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ყველა არაბს ეხება და რომელსაც შედეგები ექნება მთლიანად არაბთა საქმისათვის, მიიღეს სხვა არაბულ სახელმწიფოებთან მოუთათბირებლად და მათთვის ყოველგვარი ინფორმაციის მიუწოდებლად. ტუნისი, რომელსაც ისევე, როგორც სხვა არაბულ ქვეყნებს, არაფერი ჰკითხეს, ხვამს კითხვას: რატომ დაადგა პრეზიდენტი სადათი დეფაქტოს პოლიტიკის გზას ისეთ პირობებში, როდა ტუნისში გამართულმა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს სესიამ დიდი ჯაფით მიაღწია ერთსულოვან თანხმობას, რომლის მიზანია დაცხრეს არაბთა შორის უთანხმოებანი დიალოგისა და კონსულტაციის — არაბთა სოლიდარობის განმტკიცების ერთადერთი შესაძლო საშუალების გზით. ეგვიპტის ინიციატივა საფრთხეს უქმნის არაბთა სოლიდარობის პრინციპს იმ თვალსაზრისით, რომ ცხადყოფს ერთი არაბული სახელმწიფოს მისწრაფებას იაროს თავისი საკუთარი გზით ისეთი პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც ყველა არაბს ეხება“.

ერაყის ბასის პარტიამ და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების დელეგაციამ ჯადაჭრით დაგმეს სადათის ვიზიტი და მას „ეროვნული ინტერესების საშიში ღალატი“ უწოდეს. ეს ვიზიტი „უდიდესი ხულმოკლეობაა კაპიტულანტობის გზაზე, რომელსაც უკანასკნელი წლებია ადგას ეგვიპტის რეჟიმი იმპერიალისტურ-რეაქციული გეგმებში ჩართული ზოგიერთ სხვა არაბულ რეჟიმთან ერთად“ — ნათქვამია მხარეების ერთობლივ განცხადებაში.

(ხაკდესი, 22 ნოემბერი).

სომალის ზრახვები

ეთიოპიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ადის-აბება, 21 ნოემბერი (ხაკდესი). ექსპანსიონისტური პოლიტიკა, რომელსაც სომალის მთავრობა ახორციელებს, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას არა მარტო აფრიკის რქის რაიონის ქვეყნებში, არამედ კონტინენტის სხვა სახელმწიფოშიც, ნათქვამია ეთიოპიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

სომალის ტერიტორიული ზრახვები, აღნიშნავს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ვრცელდება ეთიოპიის აღმოსავლეთ ნაწილზე კენიის ჩრდილოეთ რაიონებსა და ჯიბუტის რესპუბლიკაზე, ხოლო ამ ტერიტორიების მიტაცების კურსი სომალის კონსტიტუციითაც გამოცხადებული. ფაქტიურად სომალი პრეტენზიას აცხადებს აფრიკის რქის ყველა იმ რაიონზე, სადაც სომალიელი მომთაბარეები თავიანთ პირუტყვს აძოვებენ.

სომალის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადება ცხადყოფს, აღნიშნავს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომ ეგრეთ წოდებული „დასავლეთ სომალის განთავისუფლების ფრონტი“ კი არა, სწორედ სომალი აწარმოებს აგრესიულ ომს ეთიოპიის წინააღმდეგ და ცდილობს ეთნიკური და ტერიტორიული ნიშნების მიხედვით შეცვალოს აფრიკის რუკა. ეთიოპია აძულებულია დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

ესეც შენი „თავისუფალი ხამეჭარო“

ახალი თვითნებობა

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (ხაკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე ხაოლქო სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა გადასინჯოს განაჩენი, რომელიც ზანგების მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა ჯგუფს გამოუტანეს. ეს ჯგუფი ცნობილია როგორც „შარლოტის სამეული“.

ქიმეის პროფესორს ჯ. გრანტს, პოეტს პ. ჯ. რედის და ჩ. პარკერს „ცეცხლის წაკიდების“ შეთითხნილი ბრალდებით სულ 55 წლის პატიმრობა მიესაჯათ. დეკნის ჭეშმარიტი მიზეზი კი ის არის, რომ ისინი თავიანთ ქალაქ შარლოტაში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) აქტიურად იბრძოდნენ რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის წინააღმდეგ.

„შარლოტის სამეულის“ ადვოკატები აცხადებენ, რომ თავიანთ დასაცავ პირთა უდანაშაულობის უცილობელი მტკიცებულებანი აქვთ. მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არც კი მოისურვა მათი განხილვა.

ახლა ჯ. გრანტი, პ. ჯ. რედი და ჩ. პარკერი თავისუფალი არიან — საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ისინი საწინდარით გათავისუფლეს. მაგრამ კი ჯერ ელით პატიმრობა საპყრობილეებში, სადაც მათ უკვე ოთხი წელი გაატარეს.

„მე არ მჯერა ამერიკის სასამართლო სისტემისა, — ტელეფონით განუცხადა ხაკდესის კორესპონდენტს ჯ. გრანტმა, — იგი სამართლიანი არასოდეს არ ყოფილა ხელისუფალთა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ“.

სპეერძნეთი არჩევნების შედეგები

ათენი, 21 ნოემბერი. (ხაკდესი). საბერძნეთში პარლამენტის ვადამდელი არჩევნები გაიმართა. 15 პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება ეწეოდა ბრძოლას 300 დეპუტატის ადგილისათვის.

აქ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, გამარჯვება კვლავ მოიპოვა „ახალი დემოკრატიის“ მმართველმა პარტიამ, რომელმაც პარლამენტში 178 ადგილი მიიღო. ამასთანავე ის გარემოება, რომ პარტიამ 1974 წლის არჩევნებთან შედარებით 40-ზე მეტი ადგილი დაკარგა, მოწმობს მისი გავლენის შესუსტებას ქვეყანაში.

შთამბეჭდავი წარმატება მოიპოვა სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ. მისი წარმომადგენლების რიცხვი პარლამენტში 15-დან 90-მდე გაიზარდა.

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი



თურქეთი. ბოსფორზე გადებული კიდული ხიდი (ხურათზე), რომელიც ქვეყნის ევროპულ და აზიურ ნაწილებს აერთებს, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია. მისი სიგრძე კილომეტრ-ნახევარს აღემატება. ამჟამად ამ ხიდზე ყოველდღიურად 100 ათასამდე მანქანა გადის. გაითვალისწინეს რა საავტომობილო პარკის ზრდის სწრაფი ტემპი, ხეციალისტები ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უახლოეს დროში, ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადასვლის მოლოდინში ავტომანქანების მრავალკილომეტრიანი რიგის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მეორე ხიდის აშენება, რის შესახებაც მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება. როგორც თურქული გაზეთები აუწყებენ, მშენებლობისათვის საჭირო სახსრების დიდი ნაწილს მიღებას მთავრობა მოქმედ ხიდზე მგზავრობის საფასურის გაზრდით ამირებს.

საკ.ტელეტაიპი ფოტო.

ᲬᲘᲒᲜᲘ — ᲛᲣᲨᲘᲚᲝᲒᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის ბაზრობა-ფესტივალის შედეგები

მარტო საბჭოთა ხალხის კი არა, მთელი მსოფლიოს ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად იქცა ამ თვიდან ოდე თვის წინათ მოწყობილი მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა, რომლის დევიზიც იყო „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“.

მსოფლიოს წიგნის ამ თვალსაჩინო ფორუმზე ხუთივე კონტინენტის 70-მდე ქვეყნის 1530-ზე მეტი ფირმა და გამომცემლობა იყო წარმოდგენილი. გამოფენა-ბაზრობის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიოში ცნობილი საგამომცემლო კონცერნები, გაერთიანებები, საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებათა სააგენტოს და სსრ კავშირის გამსახკომის აღიარებული პარტნიორები.

ფართო საზოგადოებრიობის ერთსულოვანი აღიარებით, მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა დიდი წარმატებით ჩატარდა. იგი იქცა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების კიდევ ერთ საუკეთესო საშუალებად, ევროპის უმშვიდობისა და თანამშრომლობის საკითხზე ქელსინკის თათბირისდ საბოლოო აქტის პრაქტიკული რეალიზაციის მნიშვნელოვან საფეხურად.

ვაზეთ „კომუნისტის“ მკითხველები საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებული წიგნისა და კულტურის ამ უდიდესი მსოფლიო ფორუმის მუშაობის ზოგადი საკითხების შესახებ. ამჯერად კი კონკრეტულად შვიეიბი ქართული წიგნის პრეზენტაციისათვის ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის მიერ მსოფლიო გამოფენაზე გაწეულ მუშაობას.

მოსკოვის პირველ საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობაზე საქართველოს ოფიციალურ დელეგაციაში შედიოდნენ საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს უფროსი, გამომცემლობები „საბჭოთა საქართველოს“, „ხელოვნების“, „განათლების“ დირექტორები. დელეგაციამ საქართველოს სსრ გამსახკომისა და საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია. საკმარისია ითქვას, რომ ოფიციალური შეხვედრების, თათბირებისა თუ ანგარიშების ჯერდა 52-ზე მეტი მოლაპარაკება გვქონდა უცხოეთის ქვეყნების ფირმებთან თუ გამომცემლობებთან — საქართველოში უცხოეთის ქვეყნების ავტორების გამოქვეყნებისა და საზღვარგარეთ ქართველი ავტორების საუკეთესო ნაწარმოებების გამოცემის მიზნით.

საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე ა. ჩიკვაიძე, თავმჯდომარის მოადგილე ა. კალმასეიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ვ. მაღრაძე, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ეგაძე და ჩვენ ვათვალიერებდით საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის სტენდებს, ვსვდებოდით და ვესაუბრებოდით ფირმების, გამომცემლობების, საავტორო უფლებების საგენტოების ხელმძღვანელებს, ვამყარებდით უშუალო მეგობრულ კონტაქტებს. ასეთი საქმიანი შეხვედრები გვქონდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიის, იაპონიის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებული ყურადღებით გავეცანით განვითარებადი ქვეყნების — ალჟირის, ეგვიპტის, გვინეის, გვინეა-ბისაუს, ბანგლადეშის, მოზამბიკის, კენიის, მწვანე კონცხის კუნძულის, მაროკოს, ტანზანიისა და სხვათა საკმაოდ მრავალფეროვან სტენდებს. მეგობრული მოლაპარაკებები გვქონდა კენიის დელეგაციასთან და ქართულ ენაზე მომავალი გამოცემებისათვის ეგაჯფრმეთ მემორანდუმი ს. ხაკენის წიგნზე „მასაი“, რომელიც გამოსცა კენიის „დასავლეთაფრიკული ლიტერატურის ბიურომ“ და მშვენიერი ეთნოგრაფიული ნაშრომია.

საქართველოს სტენდზე ჩვენი გამომცემლობების მიერ დასტამბული 200-ზე მეტი დასახელების საუკეთესო წიგნი იყო გამოფენილი.

დიდი მოწონება დაიმსახურა გამომცემლობა „ხელოვნებამ“ მიერ ორიგინალური ქედური ყდებით დასტამბულმა ვ. ი. ლენინისა და ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებმა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ საერთაშორისო გამოფენაზე ალბათ ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავდა ამავე გამომცემლობის მიერ ნიკო ფიროსმანაშვილისა და იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ შესანიშნავად გაფორმებულ მაკეტებს. აქვე შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ უნგრეთის ენობილმა გამომცემლობა „კორვინამ“, რომელთან მეგობრული თანამშრომლობთაც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა მხატვრული ალბომი „ლადო გუდიაშვილი“, გადაწყვიტა სპეციალურად შეიძინოს მამავალი ალბომის „ნიკო ფიროსმანაშვილის“ ტირაჟირება, ხელოვნება, მედიცინა, სოფლის მეურნეობა.

შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი წიგნი, რომლებიც, ჩვენი აზრით, მკითხველი საზოგადოების გარკვეულ მოწონებას დაიმსახურებს: „მწერლები მუშაობისას“ — დ. პლიმპონი (ინგლისი), „მწერლობის ნუნოვანი დონე და ახალი „ტიტიკული ეხეები“ როლან ბარტი (საფრანგეთი), „ლეონინის წესჩვეული“ — იაროსლავ ბობროვსკი (გდრ), „გიულისა და ხიხლის მიმოქცევის ფიზიოლოგია“ — რობერტ ს. ლიტლი (აშშ), „დასავლეთის ხელოვნების ისტორია“ — ჯრისტენსენი (აშშ), „ხელოვნება და ფსიქოანალიზი“ — ბარბარა ლონნერი (გფრ), „იაპონიაა იაპონური საძიებლად“ — ჯონ კონდონი და კეისუკე კურაგა (იაპონია), „ზღაბრების ცისფერი წიგნი“ — ლ. ფელდინი (ჩეხოსლოვაკია), „ხერბიული პოეზიის ანთოლოგია“ (იუგოსლავია), „ჭართველები“ — დევიდ ლანგი (ინგლისი) და სხვ.

ჩვენი ავტორების ნაწარმოებებს ვამოცემმა მიზნით გაფორმებულ იქნა მემორანდუმები ბულგარეთის საავტორო უფლებების საავენტოსთან ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხილის“ გაცნობა-გამოცემაზე, ეხპანეთის გამომცემლობა „რეენრტეხნიკა“ მხატვრულ ალბომზე „ზურაბ წერეთელი“, იუგოსლავიის საგამომცემლო გაერთიანება „პროსვეტასთან“ ქართული პოეზიის ანთოლოგიის მომავალი გაცნობა-გამოცემისათვის და სხვ.

მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა მრავალი რამით იყო აღსანიშნავი. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რა დიდი ნდობა და უფლებები ქონდათ მინჭვიბული რესპუბლიკებს. ყველა მომმე რესპუბლიკის დელეგაციები უშუალო კავშირს ამყარებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების ფირმებთან, გამომცემლობებთან, დელეგაციებთან, ირიგედნენ მათთვის სასურველი ლიტერატურას, აცნობდნენ ეროვნული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

მოსკოვის პირველ საერთაშორისო გამოფენაზე კიდევ ერთხელ გაბათლდა ბურეუაზიის აპოლოგეტების მითი და მონაჭორი, თითქოს საბჭოთა კავშირს გაცილებით ეტი რაოდენობით გაპქონდეს საზღვარგარეთ საკუთარი ნაწარმოებები, ვიდრე შემოაქეს და გამოსცემს უცხოელი ავტორების ნაწარმოებებს. საკავშირო მასშტაბით მსჯელობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზეც შეიძლება დავინახოთ საქმის რეალური მხარე. რესპუბლიკაში გამოცემის მიზნით ჩვენ ხელმეკრულება გავაფორმეთ საზღვარგარეთის ავტორების 13 ნაწარმოებზე, უცხოეთის ქვეყნებში გამოცემის მიზნით კი 8 ხელშეკრულება დავდეთ. მემორანდუმები გავაფორმეთ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის 27 ავტორის წიგნზე, ჩვენი ავტორების ნაწარმოებების საზღვარგარეთ გამოცემის მიზნით კი სულ 3 მემორანდუმი იქნა გაფორმებული და 15 წიგნი ეცემული უცხოური ფირმისა თუ გამომცემლობის მოთხოვნილების ოპერატიული დაკმაყოფილებისა და მომავალში მისაღოდნელი გამოცემების მიზნით. როგორც ვხედავთ, რეალური ფაქტები სრულიად საპირისპიროს გვიჩვენებს. თითქმის ასეთივე წინასწარი მონაცემები იყო საკავშირო მასშტაბითაც, სადაც ყველა კონტრაქტი დამუშავდა და გაფორმდა საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებათა საგენტოს საზით.

მოსკოვის პირველმა საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობამ ბევრი რამ გვასწავლა, ასე ვთქვათ, პრაქტიკულად მოგვამზადა. როგორც პირველი და დიდი სიახლის დასაწყისი, რა თქმა უნდა, ჩვენი საქმიანობაც არ იყო დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ ყველაფერი ეს მომავალი გამოფენებისათვის მთლიანად იქნება გათვალისწინებული.

დღევანდელ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოხდეს ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულებების დროული და ხარისხოვანი ტანდასმა. გამომცემლობებმა უნდა იზრუნონ თარგმნისათვის, წიგნის ხათანადო გაფორმებისათვის, ზუსტად უნდა განისაზღვროს ჰონორარის ოდენობა, ტირაჟი, დადგინდეს გამოცემისათვის საჭირო სავალუტო ფონდი, გაფორმდეს საგამომცემლო ხელშეკრულება.

საქართველოს სსრ გამსახკომს, საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკურ საგენტოს, გამომცემლობებს — „საბჭოთა საქართველოს“, „ხელოვნებას“, „ნაკადულს“, „მერანს“, „მეცნიერებას“ დიდი მუშაობა მოუწევთ, რომ სისტემაში იქნეს მოყვანილი და სათანადოდ შესრულდეს მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებები. რა თქმა უნდა, გაცნობის შემდეგ, ყველა წიგნის გამოცემა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული ნაწილის რეალიზაცია აუცილებლად უნდა მოხერხდეს. მთავარია რესპუბლიკის ყველა შესაბამისი ორგანიზაცია აქედანვე იხე მოემზადოს, რომ წიგნის მომავალ საერთაშორისო გამოფენაზე პირნათლად წარვდგეთ და კიდევ უფრო მეტი წარმატებები მოვიპოვოთ.

ნ. ფერეთელი,

საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკური საგენტოს უფროსი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

□

5000 ეგზემპლარი. ყურადღება და მოწონება ხვდათ მხატვრულ ალბომებს („ლამიანე“, „ბურაბ წერეთელი“, „ირაკლი ოჩიაური“, არსენ ფოფხუას „ხეზე კვეთილობა“), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის სასაჩუქრო ორტომეულებს, გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, მიხეილ ქვლივიძის, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭელიძის, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ ჭილაძისა და სხვათა ახლად გამოცემულ წიგნებს.

მოსკოვის პირველ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე ჩვენი გამომცემლობების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს 13 ხელშეკრულებას, რომლებიც განსაზღვრავს 1978-1979 წლებში უცხოელი ავტორების თარგმანსა და გამოცემას საქართველოში. აქ ძირითადად სოციალისტური ქვეყნების ავტორები არიან წარმოდგენილნი, სადაც ვხვდებით თანამედროვე პროზის, პოეზიისა და მეცნიერების საუკეთესო ნიმუშებს. გამომცემლობა „მეცნიერებამ“ ხელმძღვანელობასთან ერთად ბულგარეთის საავტორო უფლებების საგენტოს თავმჯდომარემ ტრიიან იანევმა გვიჩვენა ამ სერიით გამოცემული ჯიორგი დმიტროვის, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო მოღვაწეების წიგნები და გვთხოვა მომავალში ამ გამოცემებსაც დავუთმოთ ყურადღება.

ჩვენთან და ავტორებთან შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების საგენტომ ხელი მოაწერა რვა ხელშეკრულებას საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართველი ავტორების ნაწარმოებების გამოცემასთან დაკავშირებით. ფინეთის ცნობილმა გამომცემლობა „ტამმა“, შვეიციისა და პოლონეთის გამომცემლობებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს, რათა გამოსცენ ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“. ინგლისის უდიდესი გამომცემლობა „პერგამონ პრესი“ გამოსცემს პროფესორ ჯ. ლომინაძის წიგნს „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“, ამერიკის შეერთებული შტატების საგამომცემლო კონცერნმა „მაკმილანმა“ ხელი მოაწერა კონტრაქტს ვ. ოსინსკის ფანტასტიკური მოთხრობის „კოსმოსური ხომალდის“ გამოცემის თაობაზე, ჩეხოსლოვაკიის „ნაროდნეი იზდატელსტვო“ გამოსცემს ა. ეგანოვიძის რომანს „ორი თვე სოფელში ანუ ქორწილი იმერულად“, რომელიც პირველად ჟურნალ „ნმათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობა „სკრიპტა“ დაინტერესდა და გამოსცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგის ვ. გუჯაბიძის ნაშრომს „ქანქარისებური მიერაციის შესწავლის საკითხისათვის საქართველოს“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა უდიდესმა გამომცემლობამ „პლენუმ პაბლიშინგ კორპორეიშენმა“ შეიძინა რ. რ. დოლნაძისა და ა. მ. კუზნეცოვის ხელნაწერი ნაშრომი: „ავანტური ელექტროქიმიური კინეტიკა. ნაწილი ა. კონტინიალური თეორია“.

ეს იყო გამოცემათა მხოლოდ ერთი ნაწილი თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების სფეროდან, რისი გაფორმებაც, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოესწრო გამოფენა-ბაზრობის დღეებში. კიდევ უფრო სასიამოვნო და მრავალფეროვანი გამოცემები გველოდება წინ. მაგალითად, გაცნობიდან და მომავალი გამოცემის მიზნით იუგოსლავიის ხავამმეცნიერო გაერთიანება „პროსვეტამ“ მოითხოვა ქართული ხალხური ზღაპრები, ალბომი „საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძური“, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები, ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მეოფელმან“. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ გაცნობისა და შესაძლებელი გამოქვეყნების მიზნით მოითხოვეს ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობამ „ეერარ სტრაუს და ეერომ“, ესპანეთის, კერძოდ ბარსელონას გამომცემლობამ „პლასა და იანესმა“, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, შვეიცარიის, იუგოსლავიის, დანიის, ნორვეგიის გამომცემლობებმა. გურამ გეგეშიძის შარშან გამოცემული კრებული „შურისძიება“ გაცნობისა და მომავალი გამოცემის მიზნით მოითხოვა შვეიციის ცნობილმა გამომცემლობამ „ვალსტრემ ენდ ვალსტრემმა“, აგრეთვე ესპანეთისა და ფინეთის გამომცემლობებმა.

ჩვენი გამომცემლობების დირექტორებმა, უცხოეთის ფირმებისა და საქართველოს სსრ საავტორო უფლებების საავენტოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმებს საზღვარგარეთის ავტორების 27 წიგნის გაცნობისა და ქართულ ენაზე მოსალოდნელი თარგმნის მიზნით. აქ არის წარმოდგენილი ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, მედიცინა, სოფლის მეურნეობა.

ᲬᲘᲒᲜᲘ — ᲛᲣᲨᲘᲚᲝᲒᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის ბაზრობა-ფესტივალის შედეგები

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ „ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ“ ᲜᲐᲒᲘᲮᲘ

ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ოქტომბერში გამართულმა ნეიტრონული ბომბისა და სხვა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის მასობრივი მოქმედების კამპანიამ (მისი ინიციატორი შვიდობის მსოფლიო საბჭო იყო) ალბერ ჟენეს დაადგინა მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც გადაჭრით მოითხოვს გამლიბერული შეიარაღების ახალი საშიში ურისგან შეწყვეტას. ამ საკითხს მიეძღვნა ავრეთვე საბჭოთა კავშირის შვიდობის დაცვის კომიტეტთან არსებული განიარაღების პრობლემათა სამეცნიერო კომისიის მორიგი სხდომა.

სამეცნიერო კომისიის წევრებმა — თეალსაჩინონი საბჭოთა მეცნიერებმა და განიარაღების დარგის სპეციალისტებმა — ერთსულოვნად დაამეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიეიაჟეთ ფფიციალურად ცნო ისრაელი და სამაგიეროდ ვერაფერი მიიღო.

სადათის ხეპარატული მოქმედება არაბულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელობის მკაცრ კრიტიკას იწვევს.

ხირიის პრეზიდენტთან ჰ. ასადთან ტელეფონით საუბრისას ალჟირის პრეზიდენტმა ჰ. ბუმედიენმა სადათის საუბრობას ისრაელში უწოდა „საქციელი, რომელიც ლაჩრის ვერავინ ჩაჩოლი ვერ ეტევა“. ჰ. ბუმედიენმა დაადასტურა, რომ ალჟირი სრულიანდ უჭერს მხარს ხირიის პოზიციას. ალჟირის მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ სადათის ვიზიტი ისრაელში არაბთა ერთიანობის ფაქტორია, რომელიც მხოლოდ არაბული სამყაროს მტრებს აძლევს ხელს.

ის ამბავი, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი ირუსალიმში იახლა მოსალაპარაკებლად ისრაელის ხელმძღვანელებს, შიაანს აყენებს პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლებების აღდგენის პრობლემის გადაჭრას და არაბთა სოლიდარობას, ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც აქ გამოაქვეყნა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ნაწილობრივ შეთანხმებათა პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა. ისრაელი სულაც არ აპირებს უარი თქვას თავის აგრესიულ მისწრაფებებზე და ამიტომ ყოველად გაუმართლებელია ცალკეული არაბული ქვეყნების მიერ რაიმე დათმობა. განცხადებაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული იემენის ხალხი პალესტინელ ხალხთან და არაბული ქვეყნების პროგრესულ საზოგადოებრიობასთან ერთად გმობს პოზიციას,

საიუბილეო დათვალიერება

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს ქალაქის აღმასკომის კულტურის განყოფილების დაწესებულებათა მხატვრული შემოქმედების საქალაქო დათვალიერება, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. დათვალიერებაში მონაწილეობენ თბილისის მუსიკალური სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, სამხატვრო სკოლების, კულტურისა და დასვენების პარკების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების თანამშრომლები.

საქართველოს დედაქალაქში ასეთი ფართო მასშტაბით პირველად ეწყობა დათვალიერება, რომელიც ასახავს საგუნდო და საორკესტრო კოლექტივების, ინდივიდუალური შემსრულებლების შემოქმედებასა და მათი განვითარების პერსპექტივებს.

დათვალიერების დასკვნითი საღამო გაიმართება 27 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მასში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის საუკეთესო კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, აგრეთვე დათვალიერების სტუმრები — მოსკოვის, კიევის, რიგის, ვილნიუსის, ტალინის, ბაქოსა და ერევნის წარმომადგენლები.

დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში მოეწყობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისა და პედაგოგების ნამუშევართა გამოფენა.

გამარჯვებულებისათვის დაწესებულია დიპლომები, სპეციალური სგელები, გაზეთების „ნორჩი ლენინელის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ახალგაზრდა კომუნისტის", ჟურნალების „პიონერისა" და „დილას". საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის სპეციალური პრიზები. (საქინფორმი).

საქართველოს ქთა-ბარიქი

ფეხვედრა კინოოსტატებთან

სოხუმში ჩამოვიდნენ ქართული კინოს ცნობილი ოსტატები, რომლებმაც შექმნეს ფილმი სამამულო ომის თემაზე „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა". ძვირფას სტუმრებს გულთბილად შეხვდა აფხაზეთის საზოგადოებრიობა.

მხატვრული ფილმის „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა" შემქმნელი ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმი" დაჯილდოებულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ფილმის შემქმნელებს — დამდგმელ რეჟისორს ალ. ყულენტს მეინჭა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულო მოღვაწის საპატონ წოდება, ხოლო სცენარის იეტორებს ლ. გვაზავა-სანაძეს, რ. ებრალიძეს, სურათის დირექტორს შ. ხოჯავას — აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებული არიან კინოსტუდია „ქართული ფილმის" ოპერატორი ი. ამასიისკი, რეჟისორი ს. გოგილაძე, ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი რ. კაკაურიძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის (ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე მ. კანკავა, ფილმის სამხედრო კონსულტანტები, გენერალ-ლეიტენანტი ვ. კარპოვი და საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი გრ. კრამარენკო, ხმის ოპერატორი გ. შუბლაძე, ფილმის მთავარი გმირის როლის შემსრულებელი ა. ინალ-იფა.

თბილისიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ ფილმის „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა" პრემიერას, რომელიც შედგა კინოთეატრ „აფსნში".

საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა მიღება. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ტ. ლორთქიფანიძე პარტიის საოლქო კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად მიესალმა სტუმრებს. მიღებაზე სიტყვით გამოსულმა კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორმა რ. ჩხეიძემ მადლობა გადაუხადა აავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ფილმის მაღალი შეფასებისათვის.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲔᲑᲘ

რუსთავი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ქირურგთა რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე — სპეციალიზებული ქირურგიული დახმარება საქართველოს სამრეწველო რაიონებში.

საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა ო. მამამთავრიშვილმა, დ. მამამთავრიშვილმა, გ. ნაცვლიშვილმა, აგრეთვე რუსთავის, ბათუმის, ზესტაფონის, ბორჯომის სპეციალისტებმა.

კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და ქირურგთა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ.

კონსერვებს — დიპლომი

ამ რამდენიმე წლის წინათ კვების პროდუქტების სარეთაშორისო გამოფენაზე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში თელავის საკონსერვო ქარხნის ნაწარმმა — კაკლის მურაბამ საპატიო დიპლომი დაიმსახურა. მას შემდეგ თელავური პროდუქციის სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს.

კაკლის მურაბის მუდმივი შემსყიდველია ინგლისი, ატმის ჯემს, კაკლის მურაბას, ალუბლისა და ასკილის წვენებს ყიდულობენ იაპონია, ავსტრალია, რუმინეთი. შეკვეთა შეკვეთაზე მოდის. წელს ამ ქვეყნებში ათობით ტონა ძვირფასი პროდუქცია გაიგზავნება.

ცეკავშირის თელავის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს აგრეთვე მოსკოვსა და ლენინგრადში, სვერდლოვსკსა და კუიბიშევში, ყაზანსა და ნოვოსიბირსკში, შორეულ ჩრდილოეთში, ბამსა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. კაკლის მურაბასა და ატმის ჯემს მიკუთვნებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

— გამოვუშვათ მეტი და საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, — ამ დევიზით შრომობენ მეათე ხუთწლედის მეორე წელს თელაველი მეკონსერვეები. დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის იუბილეები დღეებში მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმა, წლის ბოლომდე გეგმის დამატებით გამოუშვებენ მილიონ პირობით ქილაზე მეტ კონსერვს. (საქინფორმი).

პარტარებმა გაისარეს

ზუგდიდი. სოფელ ორხანტიის ხანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ახალი' კეთილშოწყობილი ბაბავშვო ბაღი აშენდა. გაიხარეს პატარებმა. ფართო და ნათელი ოთახები მათი ყრიამულით აივსო.

ბ. ალშიბაია

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲫᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ

გუშინ საღამოს 8 საათზე შეფეხბურთაოს გათამაშების მერვედფინალის პირველი მატჩის სათამაშოდ ციურიხიდან სპეციალური თვითმფრინავით თბილისში ჩამოფრინდა შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი „ზერა-სპოპერსი". ფეხბურთელებთან ერთად ჩამოვიდნენ ჟურნალისტები, რადიოკომენტატორები და ტელისტები, სულ 150-ზე მეტი შვეიცარიელი სტუმარი. სტუმრებს თბილისის აეროდრომზე დახვდნენ დედაქალაქის სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, პრესისა და რადიოს კორესპონდენტები. სტუმრები სასტუმროში დაბინავდნენ და საღამოს 10 საათზე ივარჯიშეს ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ბ. ბახტურიძე ესაუბრა შვეიცარიელთა უფროს მწვრთნელს ჰელმუტ ᲝᲬᲐᲜᲡᲔᲜᲡ და რამდენიმე შეკითხვა მისცა:

— **რას იტყვით ხვალინდელ მატჩზე?**

— ყოველ მწვრთნელს სურს, რომ მისმა გუნდმა გაიმარჯვოს. ასე თუ არ ფიქრობ, მაშინ ცუდი აღმზრდელი და მწვრთნელი ᲐᲠᲘᲠ. ჩემი აზრით ყველა ჩვენს ფეხბურთელს გარკვეული წარმოდგენა აქვს თბილისის „დინამოზე". ანგარიშ ი ხვალინდელ თამაშში ისეთი უნდა იყოს, რომ ცოტიხში რევანშის აღება შეეძლოთ. აქვე მინდა ვთქვა, რომ თუ ისე კარგად ვითამაშეთ, როგორც ციურიხიდან თბილისამდე ვიფრინეთ, მაშინ ჩვენთვის ყველაფერი რიგზე იქნება. „გრასჰოპერსის" გუნდის ყველა წევრი ფსიქოლოგიურად მომზადებულია ძნელი თამაშისათვის, რომელიც მათ თბილისის „დინამოსთან" მატჩში ელით.

— **„გრასჰოპერსი" რომელ ადგილზე იწოფება შვეიცარიის მიდინარე პირველობაში?**

— ამ შაბათს გაიმართა შვეიცარიის ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტური. ჩემი გუნდი მასპინძლობდა ქალაქ ბერნის „ინგ ბოისს". ეს გუნდი გათამაშების ცხრილში მეათე ადგილზე იწოფება. „ავიმორჯვეთ ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ალეუდიო სულტერამ, ჯონი ჰეიმ და როგე ვერლიმ. აქიოვად 15 თამაშიდან 23 ქულა დავაგროვეთ და პირველ ადგილზე გადავინაცვლეთ. მეორე ადგილზე ᲩᲔᲜᲘ გუნდს ერთი ქულით ᲩᲣᲡᲬᲠᲔᲑᲗ.

— **როგორი შემადგენლობით გამოვა ხვალ მოედანზე თქვენი გუნდი?**

— როგე ბურბეგი, კურტ ბეკერი, თომას ნილი, ფრანსუა მონტანდონი, ჯონი ჰეი, რიპპერდ ბაუერი, ანდრე მაიერი, როგე ვერლი, ალეუდიო სულტერი, რამონდო პონტე, რუდოლფ ელშნერი. აი ჩვენი ძირითადი შემადგენლობა, შემდგომ ცვლილებას მატჩის მსვლელობა გვიჩვენებს.

□

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

გვინეაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების გასამართავად იმყოფება ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელთა გუნდი. ლენინგრადელები ეთამაშნენ გვინეის ჩემპიონს, აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პრიზიორს „ხაფიას". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

იორდანიაში პირველი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართეს მინსკის „დინამოს" ფეხბურთელებმა და ანგარიშით 2:0 მოუგეს იორდანიის ნაკრებს.



ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲐᲘᲛᲘ

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყო ჩოდრაში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი სპასკისა და კორჩნოის შორის. პირველ პარტიაში თეთრებით კორჩნოი თამაშობდა. პარტია გადაიდო.

გუშინ მოწინააღმდეგეებმა რამდენიმე სვლა ითამაშეს და ყაიმზე შეთანხმდნენ.

მოწინააღმდეგეები 20 პარტიას ითამაშებენ. თუ მატჩი დამთავრდა ყაიმით — 10:10, მაშინ მოჭადრაკეები დამატებით პარტიებს ითამაშებენ. გამარჯვებული შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვს.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲝᲠᲘ ᲬᲐᲒᲔᲑᲐ

კიევი. ორი მატჩი გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ჯავშირის კლუბების ნაკრებმა. ინდიანის შტატის ქალაქ საოთ-ბენდში ჩვენი კალათბურთელები დამარცხდნენ უძლიერეს სტუდენტურ გუნდ „ნოტრ-დამთან" ანგარიშით 80:101. ამ შეხვედრაში საბჭოთა გუნდს ყველაზე მეტი — 22 ქულა თბილელმა ნ. ᲞᲘᲠᲘᲝᲜᲩᲘᲜᲐ შესძინა.

ნიუ-იორკში საბჭოთა კლუბების ნაკრები შეხვდა კალათბურთელთა გუნდს „ნიუ-იორკ-სენტ ჯონსს" და წაგო ანგარიშით 70:72.

ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ

სიმფეროპოლში დამთავრდა კალათბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის პირველი წრე. უკანასკნელ ტურამდე დამარცხება არ განუცდია ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს რიგის ᲢᲢᲗ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდს. მოსკოვის დინამოელებმა მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 69:67. ამრიგად თითო დამარცხება აქვთ რიგის ᲢᲢᲗ-ს და მოსკოვის ᲝᲚᲭᲘᲡ სპარტაკელებს.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ

იტალიაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე წყალბურთში ნახევარფინალურ შეხვედრაში მოსკოველმა მეზღვაურებმა დაამარცხეს ეთამაშნენ გვინეის ჩემპიონს, აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პრიზიორს „ხაფიას". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

იორდანიაში პირველი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართეს მინსკის „დინამოს" ფეხბურთელებმა და ანგარიშით 2:0 მოუგეს იორდანიის ნაკრებს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ლონდონი. შვედმა ჩოგბურთელმა ბორნ ბორგმა უემბლის სახელგანთქმული სტადიონის მოედნებზე გამართულ საერთაშორისო ტურნირის ფინალში სძლია ინგლისელ ჯონ ლეიდს — 6:4, 6:3. ეს უკვე ზედიზედ მეხუთე ტურნირია, რომელშიც უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი ბორგი პირველ ადგილზე გამოდის.

ლოს-ანჯელესი. უიმბლდონის 1975 წლის ტურნირში გამარჯვებულმა ამერიკელმა ჯიმი კონორსმა აქ გამართულ „ვარსკვლავთა ტურნირის" ფინალში სძლია თავის თანამემამულეს როსკო ტანერს — 6:2,5:6,6:3,6:5.

ტურნირში მონაწილეობდნენ გამორჩენილი ჩოგბურთელები ოლივ ნასტასე (რუმინეთი), ვიტას გერულაიტისი (აშშ), ჯონ ალექსანდერი, როდ ლეივერი (ორივე ავსტრალია) და სხვები.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲘ"

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეიჯარა „მაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) 19 ნოემბრის გამართული 47-ე ტირაჟის შედეგები.

1-ლი ტირაჟი: ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5.000 მანეთს (8 მარათი), 4 ნომრისა — 177 მანეთს (959 მარათი), სამი ნომრისა — 6 მანეთს (34.393 მარათი);

მე-2 ტირაჟი: ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5.000 მანეთს. (8 მარათი); ოთხი ნომრისა — 176 მანეთს (1.003 მარათი); სამი ნომრისა — 6 მანეთს (33.223 მარათი).

„შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) 47-ე ტირაჟის მოგებანი გაიცემა 4 დეკემბრიდან. (საქინფი).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო კვლევითი ინსტიტუტი

1978 წელს ინსტიტუტში შემსვლელთათვის აწყობს მოსამზადებელ კურსებს. კურსებზე მსმენელებად ჩაირიცხებიან მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები, რომლებსაც სურთ მიიღონ უმაღლესი ზოოტექნიკური (ზოოინჟინრის სპეციალობით) და საველერინარო განათლება და აქვთ საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა.

კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე.

მეცადინეობა დაიწყება 1978 წლის 15 იანვრიდან და გაგრძელდება 15 ივლისამდე.

განცხადებები კურსებზე ჩარიცხვის შესახებ შემოტანილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ნაბარებული საგნების შესახებ, 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც ძალეგენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, 3. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთა თვის — ამონაწერი კოლმეურნეობის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იქნეს შრომადღეების საველდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით, საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკიდან ამონაწერთან ერთად წარადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება დღეების მიხედვით. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 6. ოთხი ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული), ზომა 3X4 სმ. კურსებზე შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 1977 წლის 10 დეკემბრიდან 1978 წლის 10 იანვრამდე, ყოველდღე გარდა კვირა დღისა 10-დან 16 საათამდე.

კურსები იმუშავებს ინსტიტუტის სასწავლო ბაზაზე. დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის რექტორატში.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: თბილისი — კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი. ავტობუსი № 23.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝ



იწვევს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში სამუშაოდ ხარატებს, მღარავებს, ზეინკალ-ამწყობებს, ზეინკალ-მეინსტრუმენტელებს, მექანოსაამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს, მჭედლებს, მტვინრავებს, მხეხავებს, დურგლებს, ხის შემოდელიებს და მეფალიებებს.

ჩამოთვლილი სპეციალობის მქონე მუშებს ქარხანაში მუშაობის დაწყებისას ეძლევათ გარანტია ბინის მიღებაზე ხუთი წლის კეთილსინდისიერი შრომის შემდეგ, აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანის შეძენაზე ერთი წლის მუშაობის შემდეგ.

თბილისში ჩამოსულები ჩაწერილი იქნებიან ქალაქში და იცხოვრებენ საერთო საცხოვრებელში, ხოლო ოჯახიანი მუშები, რომლებიც დროებით დაიქირავებენ ბინას, ქარხნისაგან ყოველთვიურად იღებენ 50 მანეთს ბინის ქირის გადასახდელად.

ქარხანაში მუშაობის მსურველებს, რომლებსაც არ აქვთ სპეციალობა, შეასწავლიან არჩეულ პროფესიას, სწავლის პირველი თვის ხელფასი მეადგენს არანაკლებ 60 მანეთს, ხოლო შემდეგ თვეებში მოსწავლეს გადაუხდიან გამომუშავების ტარიფის მიხედვით და იმ დამატებით თანხას, რომელსაც ითვალისწინებს ქარხანაში მოქმედი დებულება. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი გადადის დამოუკიდებელ სამუშაოზე. ამ კატეგორიის მუშებს ასევე ეძლევათ საშუალება ერთი წლის მუშაობის შემდეგ შეიძინონ ავტომანქანა, ჩამოსულები ასევე ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ იქნებიან Ქ. თბილისში და იცხოვრებენ კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელში.

თბილისის და რესპუბლიკის სხვა საწარმოებიდან გადმოყვანილ მაღალკვალიფიკაციურებულ მუშებს ქარხანა გარანტიას აძლევს მისცეს ბინა სამი წლის კეთილსინდისიერი მუშაობის შემდეგ. ისინიც სარგებლობენ იმ შეღავათებით, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი.

ქარხანასთან მუშაობს მუშაახალგაზრდობის ცვლიანი სკოლა, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ფილიალები, მოსამზადებელი განყოფილება უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის.

ქარხანა ყოველწლიურად ლიმიტით სასწავლებლად აგზავნის მოწინავე მუშებს ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი ქარხანაში მუშაობის დაწყებისთანავე იღებენ დახმარებას 50 მანეთის ოდენობით.

ყოველდღე, დილით და საღამოთი, ქალაქის შორ რაიონებში მცხოვრები ქარხნის მუშაკებისათვის გამოყოფილია სპეციალური სარეისო ავტობუსები. ქარხანაში მუშაობა ორცვლიანია.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲗ: ქარხნის კადრების განყოფილებას (მიღება ყოველდღე 9-დან 19 საათამდე) — ბ. ხმელნიცკის ქუჩა, 181, ტელეფონი 7-49-15, დამატებითი 2-46, 2-16, 3-04; შაუმიანის ქუჩა, 3 (ეზოდან), ტელეფონი 74-48-14, აგრეთვე შრომითი მოწყობის ბიუროსა და მის ფილიალებს — პლეხანოვის პროსპექტი, 67; ოქტომბრის ქუჩა, 181, მე-2 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი; ნავთლუღის ქუჩა, 17. ქარხანასთან მიდის ტროლეიბუსი № 7, ავტობუსები №№ 16, 51.





ნაყოფიერი იყო 1977 წელი საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრისთვის. საბჭოთა კავშირის ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა მრავალი რეცენზია, ჩატარდა შემოქმედებითი საღამოები ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში თეატრს ჰქონდა გამოსვლები ტელევიზიით. ასობით წერილი მოაქვს ფოსტას.

წლეულს პანტომიმის თეატრი გასტროლებზე საბჭოთა კავშირის ოცამდე ქალაქში იმყოფებოდა. ეს გასტროლები ღირსშესანიშნავ თარიღს — სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მეეძღვნა.

თავიდან თეატრი მოსკოვში, საკონცერტო დარბაზ „როსიაში" მიიწვიეს შემოქმედებით საღამოზე. ბევრმა თეატრის მოყვარულმა ვერ შეძლო ამ საღამოზე მოხვედრა. „ყველა ბილეთი გაყიდულია" — იუწყებოდნენ სალაროების განსაკუთრებული ბრუნვა. ამატომაც, „მოსკონცერტის" თხოვნით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა დედაქალაქში კიდევ ოთხი სპექტაკლი გამართა. „ინ ნახა წერდა, „ტატარალანაა ეიზნი" ამ გამოსვლების შესახებ: „ვინც ნახა საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის გასტროლები ჩვენს ქალაქში, დიდხანს დაამახსოვრდება სპექტაკლების მაღალი პუბლიცისტური შემართება, უნაკლო ტექნიკური შესრულება, ზუსტად ნაპოვნი ემოციურ-პლასტიკური ფერები".

მოსკოვში ქართველმა მსახიობებმა სამი სპექტაკლი ჩაიტანეს — ევრიპიდეს „ელექტრა", ი. ხიმშიაშვილის, გ. გოგუასა და ა. შალიკაშვილის — „გაათავისუფლეთ სიმღერა", გ. გოგუასა და ა. შალიკაშვილის — „უკანასკნელი ზარი". სამივე სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. მეტადრე კი „ელექტრამ" მოხიბლა მოსკოველი მაყურებელი.

„სპექტაკლმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ზოგჯერ ერთი ფეხი ეუფლება უფრო მეტი თქვა, ვიდრე სიტყვებით. საგულისხმოა, რომ თვით ფორმა ბერძნული ქოროსი, ძალიან ახლოსაა ქართული თეატრალური სკოლის ტრადიციებთან. ალბათ, ეს არის ერთ-ერთი პირობა იმისა, თუ როგორ გახდა მეტყველი დრამატული კლასიკა დღევანდელი ქართული პანტომიმის თეატრის საფუძვლად. ამ თეატრის სპექტაკლები კიდევ ერთი მაგალითია იმ განუსაზღვრელ ფორმათა რაოდენობისა, რომლის გამოყენებითაც შეიძლება ახლებურად, შენებურად გახსნა კლასიკა", წერდა „ეხტარადა ი ცირკ".

მთავარი როლების შემსრულებლებმა კ. მებუკიმ (ელექტრა) და ა. შალიკაშვილმა (ორესტე) გამოავლინეს ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობა, შექმნეს მაღალი ტრაგიზმით სავსე სახეები. სპექტაკლის წარმატება დიდად განპირობა რ. გრიგოლიას, გ. ბუმურაშვილის, გ. ოსეფაშვილისა და სხვათა თამაშმა.

შემოქმედებითი საღამოს მეორე ნაწილი ფილარმონიაში ქართველმა მსახიობებმა უჩვენეს სპექტაკლი „გაათავისუფლეთ სიმღერა" (ჩიოეს ტრაგედია). დარბაზში, მოსკოველების გვერდით, ისხდნენ ილელი პატრიოტები, სისხლიანი ოქტომბრის მომსწრე სტუდენტები, რომლებიც მოსკოვის უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში სწავლობენ.

დარბაზში დიდხანს ისმოდა აღფრთოვანებული „ბრავო" და ესპანური შეძახილები: „მუჩოს გრაციას" (დიდი მადლობა).

„შინაარსობრივად და სტილისტურად სხვადასხვა სპექტაკლები ჩამოიტანეს ქართველმა მსახიობებმა, წერს ჟაზეთი „სმენა", ყოველი მთავანი უდავოდ ამტკიცებს მდიდარ შესაძლებლობებს, თამამ რეჟისორულ მიგნებებს რთული დრამატული ამოცანების გადაჭრისას"...

„ამ ახალგაზრდა კოლექტივს უკვე ნათლად გამოხატული შემოქმედებითი სახე, თავისი მკაფიო მხატვრული და მოქალაქეობრივი პოზიცია აქვს".

„შესანიშნავია ნოველების სერია „ოცნება და ხინამდვილე", განმხვავებული როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური კოლიზიებით. ხაოცრად კარგია უბრალოდ და ლაკონიურად დადგმული პიემა ვაზზე. ეს არის პოეტური მოთხრობა შრომახა და ხიუვარულზე, იმაზე, თუ რა ხაამურია ხიცოცხლე დედამიწაზე. იქვე წარმოდგენილია ტრაგიკული პლაკატი „ხიროხიმა", ან კიდევ, ყოფითი კომედიური სცენა „ქალის გატაცება ძველ საქართველოში" (ლენინგრადსკაია პრავდა)".

ლენინგრადის ტელევიზიამ ორმოცდაწუთიანი გადაცემა უძღვნა საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრს.

ეკრანზე ეხილებოდა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და ადამიანები, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვეს ქართველი მსახიობები.

„ერთ საღამოს დაღლილები გამოვედით სპექტაკლიდან, — ამბობს ა. შალიკაშვილი — ჩვენს ავტობუსს დიდი ᲐᲮᲝᲑᲘᲗ ᲔᲬᲔᲠᲐ — „გმადლობთ". ყოველგვარი დაღლილობა გაქრა. ემღერეოდით, ᲔᲪᲘᲪᲕᲐᲕᲓᲘᲗ... ჩვენი შემყურე გაკვირვებული მძღოლი ვერა და ვერ მიმხვდარიყო, საბრიანი მაყურებლის მიერ დაწერილი ეს ერთი სიტყვა რაოდენ სასიამოვნო საჩუქარი იყო ჩვენთვის"...

ლენინგრადიდან ქართველი მსახიობები ᲡᲣᲡᲔᲗᲘᲡ სხვადასხვა ქალაქებში გაემგზავრნენ. შემდეგ კი ბელორუსიაში. მინსკში ოთხი სპექტაკლი ჩატარდა.

„შესანიშნავია ბალეტი, მაგრამ არანაკლებ მომხიბვლელია ინდიდრი და პანტომიმა. ა. შალიკაშვილმა, თეატრის შემქმნელმა, ეამდერა მდუმარე სამყარო, გვაჩვენა იგი თავიხებურად, ლამაზად". („ვეჩერნი მინსკი!".

პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა ქართული ხელოვნება შორეული (იმმბერის მცხოვრებთაც გააცნო. საბჭოთა კავშირის ყველაზე ცივ მხარეში ყველაზე თბილი ᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡᲗᲔᲑᲘ მივიღეთო, ამბობენ მსახიობები.

„კურგანის მაყურებლები დარწმუნდნენ, რომ პროფესიონალთა შეფასებანი, ის სახელი და ავტორიტეტი, რომელიც პანტომიმის სახელმწიფო თეატრს აქვს მოპოვებული, ოდნავადაც არ არის გადაჭარბებული. გასტროლების პირველ დღეს, მაშინ, როცა მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან მსახიობებს, თეატრის ხელმძღვანელმა ამირან შალიკაშვილმა საოცარი ეუსტეთ „ამოიღო" მკერდიდან გული და მაყურებელს უძღვნა, მაყურებელმა კი, თავის მხრივ, გული და ხიყვარული მიაგო ნიჭიერ კოლექტივს" — წერდა კურგანის გაზეთი „სოვეტსკოე ზაურალიე".

გულთბილად შეხვდა ქართულ პანტომიმას ციმბირის სხვა ქალაქებიც. **„ჩვენს ქალაქში ქართული პანტომიმის თეატრის გამოსვლები ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა საგასტროლო სეზონში" წერს ტომსკის გაზეთი „კრასნოეზნამია".**

ამ ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს კულტურის მინისტრის სახელზე მოვიდა ტომსის კულტურის სამმართველოს უფროსის ა. ᲑᲔᲚᲙᲝᲕᲪᲘᲡ წერილი: **„ამედოვნებთ, რომ ციმბირის ორიგინალური ხელოვნება კიდევ უფრო გალამაზდება და გაღრმავდება მხეიური საქართველოს ხელოვნებასთან ურთიერთკავშირში. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთმეგობრობის განმტკიცებას. მადლობას გიხდით მთელი ტომსკელი მაყურებლებისა და კულტურის სამმართველოს სახელით. იმედი გვაქვს, ციმბირის ამ უძველესი ქალაქის მცხოვრებთ კვლავ ექნებათ საშუალება, იხილონ ეს მათთვის უცნობი ახალი ხელოვნება".**

მ. გოგოლაშვილი.

• • •

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ: სცენები საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებიდან.